ფასი 60 კპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ნაპერი

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტ მაშვრალთა პარტია.

ხუთშაბათი, 13 თებერვალი.

№ 8 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

ამხანაგებო

სოფლისა და ქალაქის მუშებო!

თქვენ შეჰქმენით თავისუფალი საქართველო, რომელიც მშრომელთა სოციალისტურ სამშობლოდ უნდა გახდეს, და რომ თქვენი კეთილდღეობის მომავალი განსაცდელში არ ჩავარდეს, თქვენ ხმა უნდა მისცეთ თქვენი ინტერესების მედგარ დამცველს

წმინდა სოციალისტურ პარტიის სიას

№ 9.

ჩვენი პარტია დამფუძნებელ კრებას სთვლის მხოლოდ თქვენი ნების-ყოფის გამომხატველად და თქვენი ზრახვების განმახორციელებლად. ჩვენ დაუყონებლივ მოვითხოვთ:

მიწის უფასოდ გადაცემას,

მიწის მუშათა ამხანაგობათათვის.

მუშათა კონტროლს მრეწველობაში.

ქალაქის მშრომელი ხალხისთვის უფასო საცხოვრებლების დაწესებას, ჯანმრთელობის საკითხის მშრომელ ხალხის სასარგებლოდ გადაწყვეტას. უფასო, საყოველთაო და სავალდებულო სწავლა-განათლებას. ჩვენი პარტია თავის უმთავრეს მიზნად ისახავს რათა მშრომელმა თვითვე გამოსჭედოს თვისი ბედი, ამიტომ იგი მოითხოვს ხალხი პირის-პირ იღებდეს მონაწილეობას მომავლის შენებაში. თქვენ გევედრებათ ხმა მისცეთ მშრომელთა პარტიას № 9.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს მშრომელთ საერთო კავშირს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს მაშვრალთა პარტიის სიას № 9.

ამხანაგებო! დღეიდან იწყება საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. თქვენი მოკალეობაა დაუყონებლივ შეუდგეთ გაცხოველებულ მუშაობას, რომ გაძარჯვება მოუპოოთ მაშვრალთა სიას

9 №

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლის პატრონს მაშვრალს, ქვეყნის გამგებლობაში არას ეკითხებოდენ, და ქვეყანას არამკითხე ბატონები განაგებდენ.

დრონი იცვალენ. მშრომელმა ხალხმა წელი გაისწორა. ქედი მოიღერა და თავის ბატონებს ამაყურათ შესძახა ჰეი! გზა! ჩამომეცალეთ ჯიერიდგან ჩემი საქმის ბატონიც—და პატრონიც მე უნდა ვიყოვო. ამ ბრძოლაში დიდი დახმარება გაუწია თავისიდანვე წრიდგან გამოსულმა ინტელიგენციამ.

ინტელიგენციამ უფრო გენერლის როლი ითამაშა. და ხალხს მესვეურნი გაუხდენ. მშრომელი ხალხი წინად მოკლებული იყო სწავლა განათლებას. ამისთვის მას არც დრო ჰქონდა და არც საშვალება, აი ეს იყო უმთავრესი მიზეზი მშრომელი ხალხის სიბეჩავისა.

ძველი რეჟიმის ნგრევის ხანაში და ახალის აშენების ხანაში. დემოკრატია მოსწყდა მთლად ინიციატივის როლს. ინიციატორობა მთლად ინტელიგენციას ჩაბარა. თვითონ კი უბრალო პასიური ინტელიგენცია ბრძანების შემსრულებელ როლში დარჩა. მდგომარეობა ქმნის ხან შეგნებასო. და ეს ასევე მოხდა. ძველი დროის ხელმძღვანელნი ისე ჰფიქრობდენ: თითქოს ხალხი დაბადებულნი არიან მათ საყმოთ და ისინი კი მათ ხელმძღვანელ ბატონებათ. ბევრი წვანე ფერის რეაქციონერი ისე ფიქრობდა თითქოს ერთ საბოქაულოში რომ ერთი ბოქაული მომკვდარიყო მთელი საბოქაულო უპატრონობით დაიღუპებოო.

ასეთივე ავათმყოფური აზრი განვითარდა თვით თანამედროვე სოციალისტურ პარტიებში. მათმა ხელმძღვანელმა ინტელიგენტებმა რწმენათ გადიქცეს. თითქოს დემოკრატიის სვებედის გადამჭრელი ეს მარტო თვითონ არის, დემოკრატიამ მას მარტო ხმა და თითი უნდა აძლიოს, და, თვით მისი მბძანებელი იყოს. მუშები კი მარტო ბრძანების შემსრულებელნი.

საუბედუროთ მუშათა დიდი ნაწილიც ასევე ფიქრობს. „თუ მე ინტელიგენტი არ მიბძანებს მე რა შემიძლიან კავაკეთო„.

ასეთი ავადმყოფური აზრი დემოკრატიის ინტერესებისთვის ძრიელ საზარალოა. საჭიროა მუშის გონებრივმა შეგნებამ და პოლიტიკურმა მოძზადებამ იმ დონემდის აიწიოს. რომ ჩაენერგოს განემტკიცოს მუშის აზრი და, რწმენა. რომ, მაშვრალმა ხალხმა თუ თვითონ არ მოკიდა თავის საქმეს ხელი, სხვა მას თავისებურათ ვერ გაუკეთებს. მუშებისთვის საჭიროა ინტელიგენტი. იმდენად რამდენადაც ეს ინტელიგენტი მუშებს შეაჩვევს ინიციატივას, თვით მოქმედებას და თვით ხელმძღვანელობას. მაშვრალებთა ინტერესების საქმიანობაში ამ შემთხვევაში ინტელიგენტმა მასწავლებლის როლი უნდა შეასრულოს და არა გენერლობისა.

კახელი მუშა.

სია საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის

კანდიდატებისა დამფუძნებელ კრებაზე.

№ 9

1. ფანცხავა იაკობ სპირდონსძე—საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი.
2. წერეთელი ალექსანდრე იოსებისძე—პარლამენტის წევრი, თფილისის საბჭოს წევრი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი.
3. იოსელიანი ალექსანდრე იასონისძე—რკინის გზის მუშათა პროფესიონალური კავშირის სექციის წევრი.
4. ჯანდიერი გიორგი ილარიონისძე—საზოგადო მოღვაწე, მსწავლული მეურნე.
5. სულთანიშვილი გიორგი ივანესძე—ტრამვაის მუშა.
6. ვარაზაშვილი ისიდორე სოფრომისძე—საზოგადო მოღვაწე.
7. ფხაკაძე ივანე ფილიპესძე—სასამართლოს მოღვაწე.
8. სტურუა ანტიოხ ივანესძე—საზოგადო მოღვაწე, მესტამბე.
9. გერსამია სერგო ლუკასძე—საზოგადო მოღვაწე.
10. უსტიაშვილი ნიკოლოზ იაკობისძე—რკინის გზის მუშა.
11. ჯაფარიძე ალექსანდრე მალაქიასძე—იურისტი.
12. კვერეხაძე ერმალოზ ივანესძე—ტრამვაის მუშა,
13. აბრამიშვილი მიხეილ ვლადიმირისძე—მასწავლებელი.
14. დოლიძე ნიკოლოზ ალექსანდრესძე—მუშა.
15. კვირკელია პლატონ მელქისედექისძე—მასწავლებელი.
16. ჩომახიძე ერასტი გაბრიელისძე—კონდუქტორი რკინის გზის.
17. ლეჟავა ნიკოლოზ რომანისძე—ინჟენერი.
18. ლორთქიფანიძე ვარლამ სპირდონისძე—ფარმაცევტი.
19. მხეიძე ალექსანდრე სამსონისძე—პროვიზორი.
20. დგებუაძე ნინო ფარნაოზის ასული—მასწავლებელი.
21. კიკვაძე ლონგინოზ ლავრენტისძე—მასწავლებელი.
22. ნიჟარაძე რაჟდენ ფარნაოზისძე—სოფლის მეურნე.
23. ბაქრაძე მიხეილ მალაქიასძე—
24. ბოკერია მიხეილ ივანესძე—მოხელე.
25. ჭანტურია გიორგი პავლესძე—მასწავლებელი.
26. დოლრძე დომენტი მაქსიმესძე—მუშა.
27. ჩიკვაიძე გრიგოლ მეთოდესძე—მუშათა და ჯარის კაც. საბ. წევრი.
28. ქავთარაძე შუშანიკა ფარნაოზის ასული—მასწავლებელი.
29. დათეშიძე ნიკიფორე ალექსისძე—მუშა.
30. კევლიშვილი ევსევი გიორგისძე—ტრამვაის მუშა.
31. ჩიქოვანი თეოფანე საბასძე—პროვიზორი.
32. ქავთარაძე გრიგოლ იოსებისძე—მუშა.
33. ბარათაშვილი კარპეზ ფარნაოზისძე—ფარმაცევტი.
34. ჩიკვაიძე ნადეჟდა მიხეილის ასული—
35. იაშვილი დავით ქაიხოსროსძე—სტუდენტი, პარტიული მუშა.
36. ხუციძე გალაქტიონ უფლისასძე—ფარმაცევტი.
37. კოპლაძე იოსებ გრიგორისძე—დეპოს მუშა.
38. ლორთქიფანიძე გიორგი სიმონისძე—მუშა.

ამომრჩეველთა საყურადღებოდ.

ყველა ამომრჩეველმა საჭიროა იცოდეს:

1) საარჩევნო კონვერტები სახლში არ დარიგდება. მიღება მისი შეიძლება საარჩევნო უუთთან არჩევნების დღეს.

2) ჩვენი პარტიის ნუმერია 9 კონვერტში უნდა ჩასდოთ მხოლოდ ერთი ბიულეტენი, სადაც ჩამოთვლილია 38 კანდიდატი ჩვენი პარტიისა.

3) ბიულეტენებზე თუ რამე დაწერეთ, ან თუ გვარები არ იქნა ჩამოთვლილი—ხმა იკარგება.

ხაქ. მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომიხია.

რისთვის გვდევნიან.

დაარსდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია თუ არა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძველმა ნაამხანაგარებმა ჩვენზე ძრიელი იერიში მოიტანეს. დაგვცინიან „თქვენ პარტია კი ხარ—რამოდენიმე ჩვენგან გარიცხული პირი ხართ და რომ თქვენი პირადი კარიერა აღადგინოთ, პარტიის სახელი დაირქვითო.“

სჯერათ ამ აზრის მთქმელს თავისივე სიტყვა?! ალახმა უწყის.

ჩვენმა პარტიიდგან გამოსვლამ ძრიელ გაუწია ყურები, ვინც ჯერარს, და ძრიელ დაფაცურდნენ. მაგრამ, საუბედუროთ ეს მათი დაფაცურება არა პარტიული მუშაობაში გამოიხატება, არამედ წვრილმან დემაგოგიაში.

ფედერალისტები დაბძანდებიან უბან უბან და სამი კაცი რომ ნახონ მათ მაშინვე გამოატანინებენ ანუ დაუწერენ ჩვენს წინამდეგ საპროტესტო რეზოლიუციას. ამით მთელი საქმეს ათავებენ! ამ საქმეს ასრულებს ჯამბაზობას ვ. კოტეტიშვილი ეწვევა: მივა ორ კაცთან, გამოლანძღავს ალიოშა წერეთელს. და თან დაიტრაბახებს: „ოპოზიციის

შემქნელი მე ვარ და მე, რაკი მუშებს არ გავყევი სჩანს მთელი ოპოზიცია აქა ვართო“ ესეთია ვახტანგის აზრი. მას გონია ოპოზიცია ეს ვახტანგ კოტეტიშვილია. მაგრამ ჩვენ კი, საკითხს ასე არ უყურებთ! ჩვენ მუშებში და ჩვენთან რამოდენიმე ნასწავლი ამხანაგები მუდამ ოპოზიციაში უდექით მთავარ კომიტეტს. როდესაც დავრწმუნდით, რომ ჩვენ მათთან მუშაობა უბრალო დროის კარგვა იყო, ჩვენ თავს ჩვენვე უპატრონეთ.

დავაარსეთ ისეთი მუშათა ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა ყნება არა მარტო ლაპარაკი, არამედ საქმე. ჩვენ უნდა შევქნათ სოფლის და ქალაქის მაშვრალ მუშათა ორგანიზაციები და შეძლების და გვარათ შეეტანოთ მათში სოციალისტური და კლასიური თვით შემეცნება. განუვითაროთ მათ ინიციატივა თვითმოქმედებისა. რომ იგი თავის საქმის მართველი თვითონვე იყოს, რომ მას აპეკა და ძიძები არ სჭირდებოდეს.

ეს ჩვენი სურვილი პატიოსანი და სწორი გზა არის. მშრომელთა და ტანჯულთა კეთილდღეობისკენ. ჩვენ არავისგან ამისთვის საღანძღავი და სათრევი არ უნდა ვიყვეთ, მაგრამ თუ დღეს „სახალხო ხალმე“ თავის რვა გვერდს მარტო ჩვენ დამცირებასა და ლანძღვით ავსებს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ეს ჩვენი მიზანის განხორციელება სძულთ. მაგრამ ჩვენ ხომ ძალას არავის ვეტანთ? ჩვენთან მოდითო! გვიწუნებენ წერას, ლაპარაკს, რომ ჩვენი გაზეთი არ არის ღრმა აზროვანი.

მაგრამ ჩვენ ხომ ფედერალისტების სამეცნიერო ცენზორისათვის არა ვწერთ? უნდა მოვახსენო ბ. მოწინააღმდეგეთ, რომ ჩვენ მუშები ვართ; ვწერთ მუშათა ჭირ ვარამზე იმას, რაც შეგვიძლიან. მაგრამ გთხოვთ ნუ ისჯებით და ნუ გვაგინებთ ქუჩური სიტყვებით, ყოფილო ამხანაგებო! ვინების სწავლა რომ გვინდოდეს მისი უნივერსიტეტი ვიცით საარის და იქ ვისწავლით.

რაც შეეხება ჩვენს პარტიას, სოც.-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია— არის წმინდა სოციალისტური მაშვრალთა ხალხის პარტია. ჩვენთან ერთათ სდგას ის მშრომელი მაშვრალი ხალხი, რომლებიც შეგნებით სდგანან ჩვენი დროშის ქვეშ. და ის მცირე ნაწილი ნასწავლ სოციალისტურ ინტელიგენციისა, რომლებიც ცალი სელის თითებზე ჩამოითვლება, და თქვენ კი მათ ჯვარს აცვამთ. მისთვის რომ იგინი ჩვენთან არიან, და ეგეც ხომ ძალადობაა! მარტო ლაპარაკი კი არ არის საჭირო საქმე—საქმეა, აბა იკადრეთ და გამობძანდით მუშებში და თუ თქვენ ამას ვერ იზამთ, მაშ რაღას უსაყვედურებთ მათ, ვინც ჩვენთან ერთათ ჩვენს ჭირსა და ლხინს იზიარებს?.

მუშა ხულთანიშვილი.

ეველა საარჩევნო კომისიაში ყუთებთან არის ჩვენი სია № 9. ამომრჩეველებო! კონვერტის მიღების დროს მოითხოვეთ ჩვენი სია № 9.

ჩვენ ბ ისინი.

თავად დადიანების და ადვოკატ ფედერალისტების „სარევოლიუციო“ პარტიას გაჰხარებია ის ცნობა რომ მათმა ტერორმა გასჭრა და უარი განაცხადეს დამფუძნებელ კრების კანდიდატებზედ ორმა პირმა. „სარევოლიუციო“ პარტიის ორგანო დიდის ამბით აღნიშნავს და ქუჩურ მოკითხვას და ნიშანს გვიგებს. იმ ორმა პირმა უარი ფედერალისტების ზეგავლენით გამოაცხადეს, მარა ეს არაფერია, გავყვეთ და ვილაპარაკოთ სინდისიერობაზედ და პადლოგების შედგენაზედ. თუ ასე დავსვამთ კითხვას ამ მხრივ პირველი ადგილი უკავია „სარევოლიუციო“ პარტიას. ერთი პატარა ფაქტი არის საჭირო დავასახელოთ რო გავაწითლოთ ფედერალისტების თავადი დადიანები და საყვარელიძეები. მაიგონონ მათი პადლოგები დუშეთის მაზრის არჩევნების დროს ჩადენილნი, ფედერალისტები როდესაც სხვას უკიჟინებენ უნებლიეთ შეცდომებს, უმჯობესი იქნებოდა თავიანთ წარსულს გადახედონ.

დეპოს მუშა.

ვისაც, მართლაც უყვარს მშრომელთა კეთილდღეობა, ვისი რწმენაც დაკავშირებულია მჭიდროდ სოციალიზმთან, ვის სულსა და გულს ჭეშმარიტად ატოკავს მაშვრალთა ბედ-იღბალი, იგი დამფუძნებელ კრებაზე ხმას მისცემს მხოლოდ მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიის სიას № 9.

სალამი გორიდან.

გორის თანამოაზრეთა ჯგუფი სალამს გიძღვნით თქვენ, როგორც ერთათ ერთ ნამდვილ მშრომელთა მასის ინტერესების დამცველს და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას იმ სწორ გზაზედ, რომელიც თქვენ ამოგირჩევიათ. მთელი ჩვენი ჯგუფის თანაგრძობა, რომელიც ყოველ დღე იზრდება თქვენთან არის და იქნება მუდმივ; დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ის ვისი გულიც კი იტანჯება მუშური იდეებისთვის, ყველა ჩვენს გარშემო შემოიკრიბება განურჩევლათ პარტიული შეხედულებისა და ამას უკვე ვხედავთ; აიღეთ ყველა ჩვენი პარტიული მუშები პროვინციებში, მთელი მათი სიმპატია ჩვენსკენ არის, ყველა მათ „ახალი ნაკადი“ უჭირავთ ხელში, თუმცა კი ჯერ არ გაუნებებიათ თავი ძველი პარტიისთვის, რადგანაც ჩვენც ვერ მოვწყობილვართ; ჩვენი ნამდვილი სიტყვა ამხანაგებს ჯერ არ მოუსმენიათ, მათ მოისმინეს მხოლოთ ჩვენი მოწინააღმდეგეს ლანძღვა გონება ჩვენ წინააღმდეგ მომართული.

ჩვენ გვაკვირვებს ზოგი ამხანაგის გულუბრყვილო მტკიცება, რომ რათ გაიყო პარტია, როდესაც ჩვენ შორის არაფერი განსხვავება არ იყოვო ამას აწერენ ამხ. ალ. წერეთელსა. ვისაც ასე გონია, მათ უნდა მოვახსენოთ, რომ პარტიას ვერ შექმნიან ვერც წერეთლები და ვერც ლენინები, პარტიას ქმნის აზრთა საერთო იდეა, რომელიმე ჯგუფისა, და ამ იდეების მიმდევრები ირაზმებიან მის გარშემო, ცრუ აზროვნებით თქვენ შეიძლება გაიყოლიოთ ერთი ადამიანი, ორი, ათი, მაგრამ, როდესაც მას იზიარებს მთელი ჯგუფი. მაშინ მის არჩევაში ხალხი არ შესცდება. მშრომელი მასსა, თავისი უმრავლესობის შემადგენლობით, მუდამ სისწორეს გამოჰხატავს იმის და მიუხედავათ, თუ ამ აზრებს იზიარებს სხვა ბურჟუაზიული ან ნახევრათ სოციალისტური წრეები თუ არა. ჩვენც თქვენთან ვართ, ამხანაგებო! გამხნევდით, სიმართლე და გამარჯვებაც თქვენთან იქნება!

ჩვენს პარტიაში.

ამხ. **ალ წერეთელს**. სხვა და სხ. კუთხიდან მოდის მისასალმებელი ბარათები. ვათავსებთ ზოგიერთ მათგანს. **ქუთაისიდან**: ,,გიძღვნით სალამს და გისურვებთ გამარჯვებას. ჩვენც თქვენთან ვართ. სალამი ამხანაგ მუშებს“!

მაშვრალი ეკატ. გურგენიძის ასული.

—

იქიდანვე: ,,სალამი ამხანაგო! 3 წმინდა ნინოს გიმნაზიის მე—8-ე კლასის მოწაფე აღფრთოვანებით ვეგებები მუშათა ახალ მიმართულებას და წრფელის გულით ვუსურვებ წინსელას და გამარჯვებას. მეც მსურე თქვენთან ერთად ვემსახურო სიმართლეს და თავისუფლებას.

მარიამ გვალია.

პარტიული ამხანაგებს საყურადღებოთ.

ყოველივე ამხანაგი, ვალდებულია საღამოს 5—დან 8 საათამდე შემოიაროს ყოველდღე პარტიულ ბიუროში (მუშტაიდის ქუჩა № 15).

— —

მთავარმა კომიტეტმა ქუთაისის ამხანაგების საერთო კრებისაგან შემდეგი დეპეში მიიღო: ,,მოგესალმებით, ამხანაგებო, და ფიცსა ვსდგებთ, რომ დასახულ მიზანს მხნედ ვემსახუროთ. წინ, ამხანაგებო, ჩვენთანაა სიმართლე‘‘.

საგუბ. კომიტ. თავმჯდომარე ი. ფანცხავა.

—

ქუთაისში **ამხ. ხილოვან ხუნდაძეს**. შემდეგი დეპეში გაეგზავნა: მოგესალმებით ჩვენო სპეტაკო და საამაყო მასწავლებელო.

მთავარი კომიტეტი.

— —

ამხანაგებისა და თანაგრძნობთა საყურადღებოთ.

ამხანაგებო! ყველა საარჩევნო კომისიაში და ყუთთან არის ჩვენი სია 9 № კონვერტის მიღების დროს კომისიაში უეჭველად მოითხოვეთ სია № 9. ამხანაგებო! იცოდეთ, რომ დღეს თქვენზეა დამოკიდებული. გსურსთ თუ არა, რომ ჭეშმარიტად მუშურსა და სოციალისტურს პარტიას მისცეთ ხმა.

ახალი ამბავი.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორაობა დაევალა თფილისის და მის მიდამოების გენერალ-გუბერნატორს მაღლაკელიძეს, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს აღნიშნული რაიონის ყველა სამხედრო ძალები და სამოქალაქო დაწესებულებანი.

ლებედევის დატუსაღება. სამშაბათს თებერვლის 11-ს საღამოს **6** საათზე, განსაკუთრებულმა რაზმმა დაატუსაღა რუსთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ლებედევი.

ინგლისელების დახმარება დენიკინის ჯარისადმი. ინგლისელებმა სპარსეთში 2 მილიარდი და 2 მილიონი მანეთის ნიკოლოზის ფული შეაგროვეს მანეთი 7 კაპეიკათ და ამავე ფასებში გადასცეს ის მოხალისეთა ჯარს.

დამფუძნებელი კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. აცნობებენ ახალციხე და ახალქალაქის რაიონებიდან რომ შექმნილი მდგომარეობის გამო იქ ამ ჟამათ არჩევნების წარმოება შეუძლებელი ხდება; აგრეთვე გუდაურისა და ყაზბეგის რაიონებიდან ატყობინებენ, რომ იქაც დიდი თოვლის მიზეზით არჩევნები უნდა გადადებული იქმნეს.

სტამბა „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის“, გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—73.